მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნედლეულსა და მასალებს და დაუმთავრებელ წარმოებას. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურობის ვადის გათვალისწინებით.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და, ამავე დროს, იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულების მოდელით.

ინვესტიციის გაუფასურების შემთხვევაში თვითღირებულებიდან გამოკლებული იქნება დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება გრძელვადიანი აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან), სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიას მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

კომპანიის საოპერაციო შემოსავლები

კომპანიის საოპერაციო შემოსავალს შეადგენს მოსწავლეთათვის სწავლების მომსახურების მიწოდება.

მოსწავლეებს სთავაზობს სასწავლო პროცესს რამდენიმე მომსახურების ნაკრების სახით, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო არეგულირებს, ასევე დამატებით მომსახურებებს, რომლებსაც კომპანიის ხელმძღვანელობა შესაბამისად მიიჩნევს. იმის შეფასების შემდეგ, თუ რა შემავალი რესურსებია საჭირო კომპანიისთვის კომბინირებული ნაწარმის - სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს გაკვეთილებს, გამოცდებს, ტესტებს და შესაბამის მასალებს, ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, გახანგრძლივებულ სასწავლო საათებს. ეს მომსახურებები ერთდროულად ქმნიან საქონლისა და მომსახურებების განცალკევებულ ნაკრებს, რომლებიც ქმნიან შემოსავალს სწავლების ღირებულების სახით. სწავლების ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში სწავლების თვეების შესაბამისად.

შესრულების ვალდებულება წარმოადგენს განსხვავებულ საქონელს ან მომსახურებას (ან საქონლის ან მომსახურების პაკეტს) ან განსხვავებული საქონლის ან მომსახურების რიგს, რომლებიც არსებითად ერთიდაიგივეა. კონტროლის გადაცემა დროთა

შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

განმავლობაში ხდება და ამონაგები დროთა განმავლობაში აღიარდება შესაბამისი შესრულების ვალდებულების სრული დაკმაყოფილებისკენ მიმავალი პროგრესის გათვალისწინებით, თუ რომელიმე შემდეგი კრიტერიუმია დაკმაყოფილებული:

მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიის საქმიანობით გათვალისწინებულ სარგებელს, კომპანიის საქმიანობის შესრულებასთან პარალელურად;

კომპანიის საქმიანობა ქმნის ან აძლიერებს აქტივს, რომელსაც მომხმარებელი აკონტროლებს კომპანიის საქმიანობის შესრულებისას; ან

კომპანიის საქმიანობის შესრულება არ ქმნის აქტივს კომპანიისთვის ალტერნატიული გამოყენებისთვის და კომპანის გააჩნია ვადაში დასრულებული საქმიანობის შედეგებისთვის გადახდის მიღების იურიდიულად გამყარებული უფლება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ამონაგები აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს კონტროლს განსხვავებულ საქონელზე ან მომსახურებაზე.

სახელშეკრულებო ვალდებულება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას მომხმარებელს გადასცეს ის საქონელი ან მომსახურება, რომლისთვისაც კომპანიამ მიიღო ანაზღაურება (ან ანაზღაურება მისაღებია) მომხმარებლისგან.

ხელშეკრულების აქტივი და ხელშეკრულების ვალდებულება, რომელიც ეხება ერთსა და იმავე ხელშეკრულებას, აღირიცხება და წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე.

შემდეგი მოსაზრებები მნიშვნელოვანია შემოსავლების კონკრეტული ნაკადებისათვის:

სწავლების შემოსავალი

კომპანიის ხელშეკრულებას კლიენტებთან ერთწლიანი ვადა აქვს, ავტომატურად გახანგრძლივების ფუნქციით. სკოლას არ აქვს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება და იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ გაახანგრძლივებს ხელშეკრულებას, ჯარიმა არ ირიცხება, შესაბამისად, კომპანიას მიაჩნია, რომ ხელშეკრულების თითოეული გახანგრძლივება ცალკე ხელშეკრულებას წარმოადგენს.

შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვაუჩერებს ყველა ლიცენზირებულ სკოლას ურიგებს. წლიური თანხას 300 ლარს თითო მოსწავლეზე და იგი ნაწილდება ყოველი თვის ბოლოს, როდესაც შესრულების ვალდებულება უკვე დაკმაყოფილებულია და შესაბამისი შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან აღიარებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

სახელშეკრულებო ვალდებულებები

მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები, იქამდე, სანამ კომპანია მომსახურებაზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, აღიარებულია, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებები. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არის კომპანიის ვალდებულებები გადასცეს მომსახურება მომხმარებლებს, რისთვისაც კომპანიამ მიიღო ანაზღაურება.

სხვა შემოსულობა

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეთიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან

შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ზ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიას ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

საგადასახადო კოდექსით საგანმანათლებლო და მასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურების მიწოდება, გათავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისაგან ჩათვლის უფლების გარეშე, ვინაიდან კომპანიას არ გააჩნია სხვა ტიპის დღგ-თი დასაბეგრი მომსახურების მიწოდება, კომპანია არ არის რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად.

საშემოსავლო და სხვა გადასახადებს კომპანია იხდის საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გ) გაუფასურების ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. კომპანია რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით.

დ) მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ექ) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. ძირითადი საშუალებები

შინაარსი	მიწა ფალიაშვილის 42-ში	შენობა ფალიაშვილის 42-ში	დამხმარე ინვენტარი	ავეჯი და სხვა ინვენტარი	კომპიუტერული აღჭურვილობა	ჯამი
ისტორიული ღირებულება						
ისტორიული ღ. ნაშთი 01.01.2023 წლისთვის	401,690	98,310	84,152	257,687	108,763	950,602
აფასების რეზერვი 01.01.2023 წლისთვის	4,892,492	2,310,671	-	-	-	7,203,163
აფასებული ცვეთამდე ღირებულება 31.01.2023 წლისთვის	5,294,182	2,408,981	84,152	257,687	108,763	8,153,765
აფასება 2023 წლის ბოლოს	6,505,818	-	-	-	-	6,505,818
შემენა/კაპიტალიზება 2023 წ.	-	478,978	25,535	40,259	5,039	549,811
გასვლა/ჩამოწერა 2023 წ.	-	-	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.12.2023 წ.	401,690	98,310	84,152	257,687	108,763	950,602
აფასების რეზერვი 31.12.2023 წ.	11,398,310	2,310,671	-	-	-	13,708,981
საბალანსო ნაშთი 31.12.2023 წლისთვის	11,800,000	2,887,959	109,687	297,946	113,802	15,209,394
აფასება 2024 წლის ბოლოს	-	-	-	-	-	-
შემენა/კაპიტალიზება 2024 წ.	-	288,045	77,440	54,538	7,035	427,058
გასვლა/ჩამოწერა 2024 წ.	-	-	(1,379)	-	(572)	(1,951)
ისტორიული ღირებულება 31.12.2024 წ.	401,690	865,333	187,126	352,483	120,837	1,927,469
აფასების რეზერვი 31.12.2024 წ.	11,398,310	2,310,672	-	-	-	13,708,982
საბალანსო ნაშთი 31.12.2024 წლისთვის	11,800,000	3,176,005	185,747	352,483	120,265	15,634,500
ცვეთა						
ნაშთი 01.01.2023 წლისთვის	-	-	(21,514)	(66,102)	(39,625)	(127,241)
პერიოდის ცვეთა	-	-	(9,076)	(14,836)	(11,094)	(35,006)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2023 წლისთვის	-	-	(30,590)	(80,938)	(50,719)	(162,247)
პერიოდის ცვეთა	-	-	(13,352)	(18,865)	(11,850)	(44,067)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	1,379	-	572	1,951
ნაშთი 31.12.2024 წლისთვის	-	-	(42,563)	(99,803)	(61,997)	(204,363)
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2023 წლისთვის	5,294,182	2,408,981	62,638	191,585	69,138	8,026,524
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2023 წლისთვის	11,800,000	2,887,959	79,097	217,008	63,083	15,047,147
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2024 წლისთვის	11,800,000	3,176,005	143,184	252,680	58,268	15,430,137

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	-	-	-
ფული და ფულის ექვივალენტები ბანკში ეროვნული ვალუტის ანგარიშზე	694,599	1,101,774	963,282
ფული და ფულის ექვივალენტები ბანკში უცხოური ვალუტის ანგარიშზე	694,846	304,648	545,012
	1,389,445	1,406,422	1,508,294

შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

6. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
მოთხოვნები მოსწავლეთა მიმართ	2,120,072	2,060,906	1,828,494
თანამშრომლებზე გაცემული საქვეანგარიშო თანხები	-	7,130	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები- საიჯარო ქირა	444	667	-
თანამშრომლებზე წინსწრებით გადახდილი ხელფასები	-	-	9,500
სხვა ავანსები (საპენსიო)	9,559	16,132	-
მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები	20,218	14,769	4,650
	2,150,293	2,099,604	1,842,644

მენეჯმენტის შეფასებით არცერთი სავაჭრო მოთხოვნა გაუფასურებული არ არის.

7. საგადასახადო აქტივი

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
გადახდილი ქონების საავანსო	25,581	24,046	26,894
საღდო ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე	17,543	11,640	47,622
	43,124	35,686	74,516

8. პირობითი საგადასახადო აქტივი

კომპანიას აქვს ორი სასამართლო პროცესი შემოსავლების სამსახურთან. ერთ დავასთან დაკავშირებით ორი ინსტანცია გავლილია. მეორე დავასთან დაკავშირებით ველოდებით სასამართლო გადაწყვეტილებას. ვინაიდან მეორე სარჩელიც მსგავსი ქეისია, პირველ დავასთან დაკავშირებით პირველ და მეორე ინსტანციის გადაწყვეტილების, ხოლო მეორე დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გათვალისწინებით და ასევე იურისტის მოლოდინებიდან გამომდინარე შექმნილია პირობითი ანარიცხი. რა თანხაც ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე არის არ აღიარებულ დარიცხვებში.

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
საგადასახადო პირობითი აქტივი	595,643	595,643	595,643

9. გადავადებული შემოსავლები

კომპანია მოსწავლეებისაგან მისაღებ შემოსავალს აღიარებს სასწავლო წლის დასაწყისში გადავადებულ შემოსავლად და შემდგომ ყოველთვიურად ხდება გადავადებული შემოსავლებიდან მიმდინარე პერიოდის შემოსავლად აღიარება, შესაბამისად საანგარიშგებო წლის დასაწყისში 01,01,2024 გადავადებულ შემოსავლებში აღიარებულია შემდგომი ექვსი თვის შემოსავალი, რომელიც სრულად დაიხურება ივნისის ბოლოს.

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
მოსწავლეებისაგან მისაღები გადავადებული შემოსავალი	3,605,238	3,238,705	3,006,207

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
კრედიტორული დავალიანება	64,052	40,434	26,848
წინსწრებით მიღებული საიჯარო ქირა	-	-	389
ვალდებულება საქვეანგარიშო პირების მიმართ	5,733	-	-
სხვა ვალდებულება-საპენსიო	-	-	24,019
	69,785	40,434	51,256

11. საგადასახადო ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
მიწის ქონების გადასახადი	1,582	1,582	1,582
ქონების გადასახადი გაედა მიწის	34,387	25,581	24,046
საშემოსავლო გადასახადი	40,639	-	-
საღდო ბიუჯეტის ერთიან ანგარიშზე	-	34,622	-
	76,608	61,785	25,628

12. სესხები პარტნიორებისაგან

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სესხი პარტნიორისაგან	2,464	2,464	52,730

13. შემოსავლები

	2024 წელი	2023 წელი
მოსწავლეთა შემოსავლები	5,738,802	5,227,308
სხვა საოპერაციო შემოსავლები იჯარიდან	14,249	9,195
	5,753,051	5,236,504

14. მოსწავლეთა სწავლებასთან დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი

	2024 წელი	2023 წელი
ქონების საგადასახდო ხარჯი	35,969	27,163
კომუნალური ხარჯი	123,660	112,645
უსაფრთხოების ხარჯი	7,578	840
დასუფთავება სანიტარიის ხარჯი	37,008	55,838
ჯანდაცვა და უსაფრთხოება	6,307	3,847
მასწავლებლის ხელფასი	3,472,728	3,015,405
საპენსიო ხარჯი	30,623	24,666
პროგრამული უზრუნველყოფა	35,686	25,889
სწავლებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	26,380	7,728
კვების ხარჯი	347,777	245,469
ტრანსპორტირება	5,242	6,879
სასკოლო ღონისძიებების ხარჯი	25,630	31,681
კომუნალური/კომუნიკაციის ხარჯი	19,672	18,701
კომპიუტერული მომსახურების ხარჯი	6,527	13,430
ცვეთის ხარჯი	44,067	35,006
	4,224,854	3,625,187

15. ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
ადმინისტრაციის ხელფასების ხარჯი	1,375,119	1,238,832
ადმინისტრაციის საპენსიო ხარჯი	12,142	10,075
საკანცელარიო ხარჯი	41,277	42,814
წარმომადგენლობითი ხარჯი	5,302	18,591
დაზღვევა	9,523	9,092
საკონსულტაციო/საბუღალტრო ხარჯი	76,211	36,445
სამეწარმეო საქმიანობის ხარჯი	-	42
ბანკის საკომისო	2,902	3,344
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი	-	35
ლაბორატორიული კვლევა და დიაგნოსტიკა	75	174
მომღვარი - საქველმოქმედო ხარჯი	-	1,980
მივლინების ხარჯები	27,059	19,904
სამართალდარღვევა, აღსრულება, ჯარიმა	4,500	1,270
საშემფასებლო/საექსპერტო მომსახურება	-	-
საკურიერო მომსახურება	770	671
მცირე რემონტის და კეთილმოწყობის ხარჯი	29,416	27,273
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	1,388	-
	1,585,684	1,410,542

16. სხვა სრული შემოსავალი და ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
განათლების სამინისტროს სუბსიდია	371,550	366,525
სხვა არასაოპერაციო მოგება/ზარალი	2,867	1,476
დოკუმენტურათ დაუდასტურებელი ხარჯი	-	(5,471)
საქველმოქმედო ხარჯი	(7,990)	-
	366,427	362,530

17. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ზარალი

	2024 წელი	2023 წელი
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება	16,828	144,802
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(31,299)	(163,277)
	(14,471)	(18,475)

18. მოგების გადასახადი

	2024 წელი	2023 წელი
მოგების გადასახადი	(612)	(1,334)

შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	2024 წელი	2023 წელი
პარტნიორები	410,700	411,500
სხვა დაკავშირებული პირები	144,651	120,038
პარტნიორებზე გაცემული დივიდენდი	280,424	120,000

20. სასამართლო დავები

კომპანიას აქვს ორი სასამართლო პროცესი შემოსავლების სამსახურთან. იხ. შენიშვნა 8.

21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

„საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები“ მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღამდე. ზემოხსენებული სტანდარტების მოთხოვნაა, რომ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ასახავდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის არსებულ მდგომარეობას. 2023 წლის 31 დეკემბრიდან 2024 წლის 1 სექტემბრამდე ორგანიზაციაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც არსებით ზეგავლენას მოახდენდა შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი“-ს ფინანსურ ანგარიშგებაზე,

22. ფინანსური ანგარიშგების დამოწმება

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 აგვისტოს.

ქ. თბილისი

30/08/2025

შპს “რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი”
მმართველობითი ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.

1. ზოგადი ინფორმაცია, შედეგები და განვითარების გეგმები

1.1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი” (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 2011 წელს. მისი ძირითადი საქმიანობაა, მაგრამ არ შემოიფარგლება: საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა სკოლის მოსწავლეებისათვის. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო. ქალაქი თბილისი, ვაკის რაიონი, ქუჩა ზ. ფალიაშვილის, N 42.

2024 წლის ბოლოს კომპანიაში დასაქმებულია 255-მდე თანამშრომელი. დღეისათვის კომპანია “რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი” წარმოადგენს ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას, რომელიც წარმატებით ახორციელებს თავის საქმიანობას.

1.2. შედეგები და მდგომარეობის ანალიზი

კომპანიას გააჩნია სტაბილური შემოსავალი. მნიშვნელოვანი ხარჯებია 2024 წელს გაწეული თანამშრომელთა ანაზღაურებაზე.

1.3. კომპანიის სხვა ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომელთა რაოდენობის გარდა, კომპანია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს საოპერაციო ეფექტურობას, რომელსაც შემოსავლებში დანახარჯების წილებზე დაკვირვებითა და დანახარჯების წყაროების კონტროლით ახორციელებს. 2024 წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში. ჯამურ რეალიზაციაში ადგილობრივ ბაზარზე გაწეული მომსახურების ღირებულების წილი შეადგენს 100%-ს.

1.4. კომპანიის საქმიანობა და განვითარების გეგმები

რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი ძირითადი საქმიანობაა, მაგრამ არ შემოიფარგლება: საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა სკოლის მოსწავლეებისათვის.

მსოფლიო ტრენდები და დასახული მიზნებიდან გამომდინარე კომპანია დიდ ყურადღებას აქცევს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში საშუალებას მისცემს კომპანიას განახორციელოს თავისი საქმიანობა მაღალი სტანდარტების შესაბამისად.

მენეჯმენტის განმარტებით, 2025 წლის განმავლობაში შპს რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი გეგმავს კიდევ გაფართოებას და თანამშრომლების რაოდენობის გაზრდას. დაგეგმილია ყველა განყოფილების გაფართოება, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კომპანიაში დასაქმებულია პროფესიონალი თანამშრომლები, აღჭურვილია ახალი და თანამედროვე აპარატურით, რაც გამოიწვევს მომსახურების ხარისხის ამაღლებას და მოთხოვნების ზრდას.

კომპანიის კორპორაციული სტრატეგია მოსწავლეებზე ანუ საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული იმიჯისა და სტრატეგიის შემუშავებაა, რაც მოიცავს როგორც სტრატეგიულ გეგმარებას, ასევე ოპერატიული ამოცანების ისე განსაზღვრას, რომ შეესატყვისებოდეს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებსაც.

2. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში კომპანია დგას რიგი რისკების წინაშე რომლებსაც შესაბამისად რისკების დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება.

2.1. ქვეყნის ეკონომიური ფაქტორებისა და გარემოს რისკი

კომპანიის შემოსავლებსა და მოგებაზე პირდაპირი გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორიცაა: ეკონომიური ზრდა, ინფლაცია, უმუშევრობა, კონკურენტული ბიზნეს გარემოს არსებობა და ა.შ. აღნიშნული რისკებისგან თავის დასაცავად მუდმივად

მიმდინარეობს შესაბამისი პროცესების მონიტორინგი დირექტორის და ფინანსური მენეჯერის მხრიდან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

2.2. საკანონმდებლო რისკი

კომპანია საქართველოში აწარმოებს საქმიანობას შესაბამისად მისი ოპერაციებიც საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით რეგულირდება. საგადასახადო და საკანონმდებლო რისკების თავიდან აცილების მიზნით კომპანიაში მუდმივად ხდება მიმდინარე და მომავალი საკანონმდებლო ცვლილებების მონიტორინგი, გაცნობა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში იმგვარად რეაგირება, რომ კომპანიის საქმიანობა თანხვედრაში იყოს კანონდებლობასთან.

2.3. საოპერაციო რისკი

როგორც ყველა კომპანია შპს “რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი“ დგას საოპერაციო რისკების წინაშე. კომპანიაში შექმნილია შიდა კონტროლის სამსახური, რომელიც აღნიშნული რისკების მნიშვნელოვანი ნაწილის აღმოჩენასა და პრევენციას ახდენს. ასევე სისტემატიურად განიხილება მენეჯმენტის მხრიდან მიმდინარე საოპერაციო საქმიანობა და შესაძლო რისკები. ყოველი თვის რეპორტინგისას ხდება მიმდინარე/დაგეგმილ/წინა პერიოდის ფინანსურ/არაფინანსურ მონაცემებს შორის ანალიზი და განსხვავების გაანალიზება რისკების შესამცირებლად.

2.4. საკრედიტო რისკები

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანია რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამის განცდილ საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

2.5. ლიკვიდურობის რისკები

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში რომ არ დაზიანდეს კომპანია და კომპანიის რეპუტაცია. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. დეტალები კომპანიის აქტივებზე და ვალდებულებებზე ასევე მოცემულია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობს, რაც იწვევს ასევე ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას.

დირექტორები:

ხათუნა კერესელიძე

მარინე ანდრონიკაშვილი

მარიამი გიორგაძე

ია კოჩინაშვილი

2.6. საბაზრო რისკები

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვალოს საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურების გამო პოტენციური ზარალის რისკი არსებობს, რაც იწვევს ასევე ფასების ზრდას და შემოსავლების შემცირებას.

დირექტორები:

ხათუნა კერესელიძე

მარინე ანდრონიკაშვილი

მარიამი გიორგაძე

ია კოჩინაშვილი